# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

25 ივლისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№30 (9344)
ფასი 40 თეთრი


## „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია დაიწყო

16 ივლისს „ქართული ოცნების'' ოფისის გახსნის ღონისძიებაზე, რითაც მმართველმა პარტიამ ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო კამპანია, ცნობილი გახდა ახალი სლოგანიც: „მხოლოდ მშვიდობით, მხოლოდ ღირსებით, მხოლოდ კეთილდღეობით, მხოლოდ ევროპისკენ“. მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის, **ბიძინა ივანიშვილის** განცხადებით, უკრაინაში ომის დამთავრების შემდეგ აშშ-სა და ევროკავშირთან საქართველოს კონფლიქტზე აღქმა და ქვეყნის მიმართ ინტერესები შეიცვლება. ამის შესახებ მან სწორედ ამ ღონისძიებაზე ისაუბრა. „გლობალური ომის პარტია სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენით დღევანდელ ამერიკულ და ევროპულ ბიუროკრატიაზე, რაც ქართველ საზოგადოებაში ქმნის განცდას, რომ საქართველოს კონფლიქტი აშშ-სა და ევროკავშირთან აქვს, თუმცა როგორც კი უკრაინაში ომი დასრულდება, ინტერესები შეიცვლება დ აღქმაც მყისიერად გაქრება. გლობალური ომის პარტიის სურვილი ცხადია, რადგან დარწმუნდნენ, რომ ომში არ ჩავერთვებით და საქართველოს უკრაინის ბედის გაზიარებისთვის ვერ გავწირავთ“ - განაცხადა ექსპრემიერმა. მისი თქმით, უკრაინაში ომი, ყველაზე გვიან, ერთ წელში დასრულდება. „გადასატანი გვრჩება მაქსიმუმ ერთი წელი. რის შემდეგაც ფუნდამენტურად შეიცვლება როგორც გლობალური და რეგიონული პოლიტიკური ინტერესები, ისე ინტერესები კონკრეტულად საქართველოს მიმართ. უკრაინაში მიმდინარე ომი, ყველაზე გვიან, ერთ წელიწადში დასრულდება, ხოლო თუ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ, ომი იანვარშიც კი შეიძლება დამთავრდეს. მთავარია, ეს მცირე დროც მოვიგოთ და როგორც კი ომი დასრულდება, აშშ-სა და ევროპასთან ყველა გაუგებრობა წარსულს ჩაჰბარდება, საქართველო გლობალური პოლიტიკის მოთამაშეებისთვის სრულიად განსხვავებული ინტერესის საგანი გახდება“, - განაცხადა მან. სიტყვით გამოსვლისას მან კვლავ გაიმეორა, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ კანონის წინაშე აგებს პასუხს ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულისთვის“.



## დაათვალიერეს ინფრასტრუქტურული ობიექტები

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა ოთარ არბოლიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ზაალიშვილმა მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს.**

ხელმძღვანელი პირები რამდენიმე ლოკაციაზე იმყოფებოდნენ:

**ახალდაბაში**, ბორჯომის ქუჩაზე, ცენტრალური გზის გამყოფი ღობეების რეაბილიტაცია 1 აპრილიდან დაიწყო და სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა გზის პირას მდებარე სახლების ღობეები და ჭიშკრები. დამონტაჟდება გარე განათების სისტემა.

სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

**წაღვერის** პარკის რეაბილიტაცია ინტენსიურად მიმდინარეობს.

პარკი 10 500 კვ.მ. ფართობზე გაშენდება. პროექტის მიხედვით, წაღვერის პარკში დაგეგმილია ბავშვთა გასართობი და მოსასვენებელი სივრცეების, კაფეს და სხვა კომერციული ობიექტების მოწყობა.

პარკში განთავსდება ფანჩატურები, საცოცი კედელი, ხიდები, წყლის არხი და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა. ასევე, მოეწყობა ფოტოგადაღების ჯიხური „ფოტო ხაჩიკა” და მისი მონუმენტი.

პროექტი ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

**„პლატოზე”** ფეხბურთის მოედნისა და ჩოგბურთის კორტების მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით, ჩოგბურთისა და ფეხბურთის სტადიონის გარდა მოეწყობა - ფანჩატური, ტრიბუნები, საფეხმავლო ბილიკები, მცირე საყრდენი კედელი, მოაჯირი და სივრცე პარკინგისთვის; დამონტაჟდება მაგიდის ჩოგბურთის მაგიდაც.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

## 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის პარტიების რეგისტრაციის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისია განცხადებას ავრცელებს

**დასრულდა** საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად იმ პოლიტიკური პარტიების სარეგისტრაციო განაცხადების მიღება, რომლებსაც არჩევნების დანიშვნის დროისთვის არ ჰყავთ მათი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრები.

განაცხადების მიღების ვადა 15 ივლისს ამოიწურა. ცესკოს რეგისტრაციის მოთხოვნით 28 პოლიტიკურმა გაერთიანებამ მომართა, საიდანაც უკვე რეგისტრირებულია 9 პოლიტიკური პარტია, ხოლო რეგისტრაციის პროცედურებს გადის 19. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად პარტია ვალდებულია პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, ცესკოს წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის სია.

გარდა ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტიებისა, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ პარტიებს რომლებიც აკმაყოფილებენ საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს. კერძოდ კი, პარტიებს რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე და საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავთ მათი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრები. აღნიშნულ მოთხოვნას კი, შემდეგი პარტიები აკმაყოფილებენ:

**„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.**
**„ლელო საქართველოსთვის“**
**„ახალი პოლიტიკური ცენტრი“ - „გირჩი“.**
**„ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“.**
**„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“.**
**„გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“.**
**„კანონი და სამართალი“.**
**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.**
**„საქართველოს ევროპელი დემოკრატები“.**
**„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“.**
**„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“.**
**„პროგრესი და თავისუფლება“.**

აღნიშნულმა პარტიებმა, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად, პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ ცესკოს თავმჯდომარეს, არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა (30 აგვისტო).

განახლებულ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოვუდგენთ საზოგადოებას რეგისტრაციის პროცედურების დასრულებისთანავე.

### საგასტროლო ტური

## „ერისიონი“ ბორჯომში - ეს უნდა ნახო!



**სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი „ერისიონი“ ტრადიციულად, ზაფხულში საგასტროლო ტურნეს გეგმავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით.** 18 ივლისს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონზე ბორჯომის საზოგადოებრიობა შეიკრიბა დაუვიწყარი, ეროვნული შოუ-პროგრამის სანახავად. ერთ სასიმღერო ნომერს ანაცვლებდა საცეკვაო ნომერი და ასე ფოლკლორით მოიარეს კუთხე-კუთხე ეროვნული კოსტუმებით მორთულ-მოკაზმულებმა. აჩვენეს კლასი აჭარულის, დავლურის, ოსურის, აფხაზურის, მეგრულის, სვანურის და გული სიამაყით გევსება, ყველას ვისთვისაც ცეკვა სულის როკვაა და გიყვება შენი ქვეყნის ისტორიას. ერთი ის ფაქტი, რომ გაახარეს მთელი ქალაქი და მეორე - ვიქნები სუბიექტური და გამოვთქვამ ჩემ მოკრძალებულ აზრს: ამ „საჩუქარში“ დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ გიორგი ბუგიანიშვილს, ბორჯომის მერის მრჩეველს კულტურის საკითხებში და მადლობა მას გახარებული მაყურებლის სახელით.

შემხვედრს ნაცნობებსა და თუ ჩამოსულ სტუმრებს, ყველას ერთი გეზი ჰქონდა აღებული - დასწრებოდა გრანდიოზულ კონცერტს. დიდი ტრადიციების ანსამბლი ასეთი პროგრამით პირველად იყო ბორჯომში ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში და ეს იყო დიდი დღესასწაული.

**18 ივლისს,** მასშტაბური ღონისძიების დაწყებამდე 1 საათით ადრე, ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონი ბორჯომელებს, დამსვენებლებსა და სტუმრებს ვეღარ იტევდა, ათასობით მაყურებელი ანსამბლი „ერისიონის“ სრულიად ახალ შოუ-პროგრამას ელოდა, რომელიც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბატონმა **შერმანდი ჭკუასელმა** და მთავარმა ქორეოგრაფმა ქალბატონმა **ეკა ჭკუასელმა** შექმნეს. როგორც დაანონსებული გახლდათ დასწრება ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

ქართული ხალხური ცეკვებითა და სიმღერებით „ერისიონმა“ თითოეული მაყურებლის გულისა და სულის სიმები შეარხია, რომელიც ცეკვა „დავლურით“ დაიწყო და „ჰარირათი“ დასრულდა. ცეკვისას, ხმლებით გაელვებული ნაპერწკლები კი იმ ქართულ სულისკვეთებას ღრმად უსვამდა ხაზს.

შთამბეჭდავი და მრავლის მთქმელი იყო ღონისძიების დაწყებამდე გულმხურვალე მისალმება საზოგადოებისადმი:

- მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენო ძვირფასო ბორჯომელებო! ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ანსამბლი საქართველოს რეგიონების საგასტროლო ტურნეს ფარგლებში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში მართავს, ეს ქალაქი და მაყურებელი „ერისიონისთვის“ განსაკუთრებულია.

**აუცილებელია, აღინიშნოს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანის გვერდში დგომა, რომ არა სამინისტროს დაფინანსება და მხარდაჭერა „ერისიონი“ რეგიონებში კონცერტებს სრულყოფილად ვერ გამართავდა.**

**დიდი მადლობა ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას და მერს, ბატონ ოთარ არბოლიშვილს გაწეული დახმარებისთვის და გვერდში დგომისათვის.**

**14-მდე შესრულებულ ნომერს ერთი წამითაც არ გვსურდა თვალი მოგვეწყვიტა იმ სიამოვნებისათვის, რაც ღია სცენაზე ხდებოდა.**

**იზა იანვარაშვილი**



ჩემი ყურადღება მიიქცია ბორჯომში არსებული ადგილობრივი ანსამბლების წევრების გამოკვეთილმა დაინტერესებამ და ეს ბუნებრივიცაა: გინდა ნახო ასე ცოცხლად, დააკვირდე, მოგემატოს მოტივაცია, ისწავლო კიდეც, დეტალები შეაფასო. ამ ახალგაზრდების, შვილისტოლა გოგო-ბიჭების აღფრთოვანებული სახეები არასოდეს დამავიწყდება. მოცეკვავის თვალი კიდევ სულ სხვა პრიზმაში უყურებდა ალბათ ამ კონცერტს, რადგან მე ამ ყველაფერში შემეცნებითი მისიაც დავინახე. ანსამბლის მიზანიც, როგორც ამას ქალბატონი ეკა ჭკუასელი ბრძანებს, ესეც არის: ყველას არ აქვს იმის შესაძლებლობა, დრო და საშუალება, რომ თბილისში ნახოს ეს ყველაფერი, ამიტომ უდიდეს დანიშნულებას იძენს რეგიონებში საკუთარ კულტურასთან ასეთი ფორმით ზიარება. აღნიშნეს კიდეც ანსამბლ „ერისიონის“ წარმომადგენლობამ, თუ როგორი თბილი დახვედრა მოუწყეს ბორჯომელმა მსმენელმა.

ძალიან დავინტერესდი მომესმინა და გამეზიარებინა თქვენთვის ადგილობრივი ანსამბლების ქორეოგრაფების შთაბეჭდილებები, მოცეკვავეთა ემოციები.

**თეა გაბელაია, ანსამბლი „იმედის“ ხელმძღვანელი:** - რამდენიმე წინადადებით ცოტა ძნელია ის ემოცია და გრძნობა გამოხატო, რასაც განვიცდიდი. ეს იყო ქართული ნიჭისა და გენის ზეიმი. ალბათ დიდხანს ვერ გამოვალ ამ შთაბეჭდილებისგან. უდიდესი სიამოვნება გვაჩუქეს ბორჯომს და უდიდესი მადლობა ამისთვის „ერისიონის“ თითოეულ მონაწილეს. ვისურვებდი, რომ ჩვენთანაც, სკოლის მერე, დაინტერესება ჰქონდეთ ჩვენს ახალგაზრდებს და გვქონდეს ჩვენც სახალხო ანსამბლი. „ერისიონის“ ცეკვებიდან გამიჭირდება რომელიმეს გამოყოფა, თუმცა აფხაზური ცეკვა მგონია, რომ ფავორიტია. აპრილში ანსამბლი „იმედი“ დაესწრო ფილარმონიაში გამართულ „ერისიონის“ სოლო კონცერტს და შთაბეჭდილებით სავსე დაბრუნდა.

**ნინო მდივნიშვილი, ანსამბლ „ფერხისის“ ხელმძღვანელი:** - რა თქმა უნდა, ანსამბლის მთელი შემადგენლობით დავესწარით განუმეორებელ „ერისიონის“ კონცერტს. ათეულობით წელია, რაც მათ თავიანთი ნიშა აქვთ და ეს დასაფასებელია. მართლაც, ამოუწურავია ხელოვნება ამ კუთხით და ამის შესაძლებლობას თვითონ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხე იძლევა, რაც გამოხატული იყო როგორც მუსიკალურ გაფორმებაში, კოსტუმებში, ვიზუალში. მადლობა ასეთი დღისთვის ორგანიზატორებს.

**ანსამბლ „იმედის“ მოცეკვავე, ანანო ინასარიძე:** - ვფიქრობ, „ერისიონის“ ყველა ცეკვა თავისებურად უნიკალური და ლამაზია, მაგრამ ამ კონცერტზე ჩემი ყურადღება ცეკვა აჭარულმა მიიქცია. ის გამორჩეულია თავისი ხასიათით. ყველაფრით მოხიბლული ვარ: ისე კარგად ასრულებდნენ სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, მოცეკვავეები კი ემოციურად, მაქსიმუმს აქსოვდნენ ყველა მოძრაობაში. ამ კუთხით მისაბაძები არიან. ამ ერთმა დღემ დამაფიქრა და განვსაზღვრე მთავარი მიზანი: რაც შეიძლება მეტ ადამიანს გავუჩინო ინტერესი ცეკვისადმი.

**ანსამბლ „ფერხისის“ მოცეკვავე, გიორგი მელიქიძე:** მთელი კონცერტის განმავლობაში ყურადღებით ვუყურებდი და სიამოვნებას მანიჭებდა თითოეული მოცეკვავის მიხვრა-მოხვრა. გამოვარჩევდი „ხანჯლურს“, რადგან ეს ასახავდა ადრინდელ საქართველოს - მებრძოლ სულს. გამართულ ტერფს ვაქცევდი ყურადღებას, როგორ ეჭირათ ტანი, ხასიათს, როგორ იპყრობდნენ აუდიტორიას. ვეცდები, მეც ამ კუთხით ვიმუშაო უფრო მეტად.

**მონიკა ჭანტურია**

## ღირსება თანამდებობაზე მეტია

# მშობლიური ქალაქის სიყვარულს ვერავინ აუკრძალავს!

**ორიოდე წლის წინათ საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად დაინიშნა ბორჯომში დაბადებული და გაზრდილი პიროვნება, ბატონი ზურაბ აზარაშვილი, რომელიც ბაბუის, ბატონ პავლე აზარაშვილის შრომისმოყვარეობით, პატიოსნებითა და კეთილსინდისიერებით ცნობილ ოჯახში აღიზარდა. სწორედ ოჯახში ეზიარა სამშობლოს სიყვარულს, ადამიანებისადმი გულისხმიერ მოპყრობას, პატიოსან შრომას და ერთგულებას.**

**ბატონ ზურაბის ამ მეტად საპასუხისმგებლო სამინისტროს თავკაცად დანიშვნა ნამდვილად დიდი მოვლენა იყო ბორჯომელებისათვის. ქალაქის არსებობის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო მისი მინისტრად დანიშვნა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ბორჯომელთა ღირსებას და ავტორიტეტს.**



**ბატონმა ზურაბმა** 1995 წელს დაამთავრა №2 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ESM თბილისის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ,,თიბისი" ბანკში, შემდეგ გადავიდა ,,ქართუ ბანკში", იმუშავა ,,კორსტანდარტ" ბანკში დირექტორად, ხელისუფლებამ შეამჩნია ბატონ ზურაბის ორგანიზატორული მუშაობის შესანიშნავი თვისებები და ჯერ ,,დელტას" გენდირექტორად, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დააწინაურეს, მისი აქტიური ხელმძღვანელობით თბილისის საავიაციო ქარხნის ტერიტორია, რომელიც ფაქტიურად განადგურებული იყო და ვეებერთელა ტერიტორია ეკალ-ბარდებით გადავლილი,ხოლო მწყობრიდან გამოსული თვითმფრინავები დაშლილი და ჯართად ჩასაბარებლად იყო გამზადებული. ავიაქარხნის წესრიგში მოყვანით დაიწყო და რამდენიმე თვეში თბილისის ცას სერავდნენ განახლებული სამხედრო თვითმფრინავები. სწორედ ამ სამსახურიდან დააწინაურეს ჯანდაცვის მინისტრად.

პირველი დღიდან ბატონ ზურაბს უამრავმა ბორჯომელმა მიაკითხა, ყველა შველას თხოვდა, უყურადღებოდ არავინ დაუტოვებია, მრავალ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე, ღირსეული რეფორმა განახორციელა ჯანდაცვის სისტემაში, რაც არა მარტო ბორჯომელებს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას იმედს უნერგავდა.

არაერთხელ ვცადე როგორმე ხმა მიმეწვდინა ჩვენი ხეობის ღირსეული წარმომადგენლისათვის და ინტერვიუ ჩამეწერა.

კითხვარებიც შევადგინე და ბატონ ზურაბის მამას, ჩემს მეგობარს, პეტრე აზარაშვილს გადავეცი, დამხმარებოდა შვილთან შეხვედრაში.

სამწუხაროდ, ბატონ ზურაბთან ჩვენი შეხვედრა ვერ მოხერხდა ერთი მეტად მარტივი მიზეზის გამო... ბატონი ზურაბი თანამდებობიდან გაათავისუფლეს საკუთარი განცხადების საფუძველზე.

სამაგიეროდ ინტერნეტში აღმოვაჩინე ბატონ ზურაბის ორი წლის მანძილზე მისი მინისტრობის დროს გატარებული რეფორმების ვრცელი ანგარიში, რომელიც მინდა გაზეთ ,,ბორჯომის" მკითხველებს გავუზიარო. მწამს, დარწმუნდებით თუ როგორ პირობებში უხდებოდა მინისტრის მუშაობა და მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების გადაწყვეტა.

ვრცელი ანგარიშიდან გთავაზობთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემების ჩამონათვალს.

აი, რას წერს ბატონი ზურაბი:

- მინდა, საზოგადოებისთვის ჩემი სამინისტროში მოღვაწეობის ორწლიანი ანგარიში მადლიერებით დავიწყო. გულწრფელი მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს ოთხი წლის წინ გამოჩენილი ნდობისათვის, 20-წლიანი საბანკო საქმიანობის შემდეგ რომ მომცა შესაძლებლობა, მემსახურა ჩემი ქვეყნისთვის, ჯერ ქვეყნის თავდაცვის მიმართულებით და 2022 წლიდან - ჯანდაცვის სამინისტროში.

სწორედ ამ მხარდაჭერითა და ერთსულოვნებით შევძელით სისტემაში იმ დროისთვის გადაუჭრელი პრობლემების და ბოლო 30 წლის განმავლობაში შეუძლებელი რეფორმების ორ წელიწადში განხორციელება.

ჯანდაცვის სექტორში მოცემულობა იყო კრიტიკულად რთული, სუსტი კონტროლით და სრული დერეგულაციით მიღებული სავალალო შედეგები კი - მყისიერად მოსაგვარებელი. ამას თან ერთვოდა კოვიდის მიმდინარე საფრთხეები; ზოგიერთი კლინიკის და ზოგიერთი ფარმაცევტული კომპანიის მხრიდან არაკეთილსინდისიერად ფულის მიტაცების ფაქტები.

სამინისტროში საქმიანობის ორწლიან პერიოდში ყოველი დღე იყო სტრესით, ზეწოლითა და პროტესტით სავსე. ჩვენი ყველა გადაწყვეტილება კი პრინციპული, გაბედული და რისკიანი, ის ხომ სისტემაში წლობით ფესვგადგმულ უმსგავსობას პირდაპირ თუ ირიბად ეხებოდა. თუმცა, გუნდის ერთიანი სულისკვეთებით, საქმის კეთების მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით და ირაკლი ღარიბაშვილის ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერით განვახორციელეთ რეფორმები, რომლებზე საუბარიც კი ბევრს წარმოუდგენელად ეჩვენებოდა.

კლინიკებისთვის დიაგნოზთან დაკავშირებული გადახდის სისტემა იყო 30 წლის მანძილზე წინამორბედი ყველა მინისტრის დიდი სურვილი, რომ დაენერგათ. პირველივე წელს შევძელით და ამოქმედდა ეს სისტემა, რომელმაც ტრანსპარენტული გახადა ყველა არაკეთილსინდისიერი მოთამაშის ქმედება და დარღვევის ყველა დეტალი ზედაპირზე გამოიტანა.

სწორედ ამიტომ დავაინიცირეთ სამედიცინო რეგულირების კანონში ცვლილება, რომელსაც, სამწუხაროდ, კიდევ უფრო დიდი პროტესტი მოჰყვა, ეს ხომ ზოგიერთისთვის არაკეთილსინდისიერად, ხალხის სიცოცხლისა და ბიუჯეტის ხარჯზე გამდიდრების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ამცირებდა. DRG-ს დანერგვის შემდეგ მოქალაქის მხრიდან თანაგადახდა ისტორიულ, 10 პროცენტიან მინიმუმზეა და მოსახლეობამ 170 მლნ ლარი უკვე დაზოგა, მკაცრი სახელმწიფო კონტროლის პირობებში კი ბიუჯეტში მიტაცებული მილიონობით ლარი დაბრუნდა.

ასეთივე ხმაურის ფონზე დავნერგეთ წამლებზე რეფერენტული ფასები, რომელიც დღეს მოსახლეობისთვის წლიურად ასობით მილიონი ლარის დაზოგვას ითვალისწინებს. საერთო ჯამში, თურქეთის ბაზრის გახსნით, რეფერენტული ფასების დაწესებით და ონკოლოგიური მედიკამენტების უშუალოდ მწარმოებლებიდან შესყიდვით წლიურად 400 მლნ ლარი იზოგება.

2024 წლიდან სრულად მოგვეხსნა ქრონიკული მედიკამენტების საჭიროების მქონე მოქალაქეებისთვის წლიური ლიმიტი და 350 ათას ადამიანს ყოველდღიურად, სრულიად უფასოდ, მთელი წლის მანძილზე მიეწოდება საჭირო მედიკამენტები. დაინერგა ელექტრონული რეცეპტები, აფთიაქებს გაუჩნდათ ბაზების სამინისტროსთვის გახსნის ვალდებულება.

ამ შესაძლებლობით სამინისტრომ გამოავლინა ფარმაკომპანიების მხრიდან კარტელური გარიგების ფაქტი, რომელიც კონკურენციის სააგენტომ დაადასტურა და 53 მლნ ლარის ჯარიმა დაეკისრათ კომპანიებს, რამდენიმე ფარმაკომპანიის ჭარბი, 3000 პროცენტიანი ზემოგების საქმე კი კონკურენციის სააგენტოში განხილვის პროცესშია.

პაციენტის უსაფრთხოების პროექტის ფარგლებში სამინისტრო რეალურ დროში აკონტროლებს ჭარბი ანტიბიოტიკების, ფსიქოტროპული და არასაჭირო მედიკამენტების ანგარების მიზნით გამოწერას. ამ უმწვავესი გამოწვევის მოსაგვარებლად დაწყებულია მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით ქვეყანაში ე.წ. სანშაინის დანერგვის პროექტზე მუშაობა, სადაც ფარმაცევტულ კომპანიებს შეეზღუდებათ კლინიკებში მარკეტინგული აქტივობები და ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან ექიმისთვის გადახდილი ყოველი ლარი დადეკლარირდება შესაბამის საჯარო სისტემაში.

ონკოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოხდა როგორც სამედიცინო სერვისის დაფარვის, ასევე წამლების შესყიდვის პირდაპირ მწარმოებლებთან დაკონტრაქტებით, რამაც, საშუალოდ, 50 პროცენტით შეამცირა ძვირადღირებული წამლების ფასი და ორჯერ მეტის შესყიდვის შესაძლებლობა შეიქმნა. თუმცა ისევ დიდ გამოწვევად რჩება სწორი ონკოლოგიური დიაგნოსტიკა და მედიკამენტების გაიდლაინების მიხედვით, კეთილსინდისიერად დანიშვნის საკითხი. ასევე, გამოვლენილია ფაქტები, როდესაც ქვეყნიდან ხდებოდა დაურეგისტრირებელი, საეჭვო წარმომავლობის ათასობით ცალი ონკოლოგიური მედიკამენტის შემოტანა. სამწუხაროდ, სავარაუდოდ, მინიმუმ, 60 ონკოლოგია ჩართული ამ სქემაში და მათ მიერ გამოწერილი ფორმა 100-ის საფუძველზე მილიონობით ლარის დაფინანსების მოთხოვნა შემოდიოდა როგორც სამინისტროში, ასევე მუნიციპალიტეტებში, ხოლო ონკოლოგიური პაციენტებისთვის ხდებოდა გაურკვეველი წარმოშობის წამლის გამოწერა და გამოყენება.

დიდი უკმაყოფილება იყო ონკოლოგიური ბავშვების მკურნალობის ნაწილში. მშობლებთან არაერთი შეხვედრის შემდეგ გადავწყვიტეთ, დაგვენერგა ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა. წინა წლის აგვისტოდან მსოფლიოს 3 ქვეყანაში, 7 საერთაშორისო სტანდარტის მრავალპროფილურ კლინიკაში სრულყოფილი სერვისით ვფარავთ ბავშვთა ონკოლოგიას, რომლითაც ამ დროისთვის 60-ზე მეტმა ბავშვმა უკვე ისარგებლა.

მნიშვნელოვანი პროგრესია წამლის ხარისხის კონტროლის კუთხით. წინა წელს გავხსენით 20 წლის წინ ქვეყანაში, სამწუხაროდ, გაუქმებული წამლის ლაბორატორია. ასევე, გამკაცრდა კონტროლი ქვეყანაში წამლისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტზე, სადაც გამოიკვეთა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები ხარისხის კუთხით და კანონმდებლობის დონეზე უკვე შევიტანეთ შესაბამისი ცვლილებები.

ქვეყანაში პირველად შემოვიტანეთ სამედიცინო პერსონალისთვის მინიმალური ხელფასის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სისტემაში 21 000-ზე მეტ ადამიანს გაეზარდა ყოველთვიური ხელფასი.

დიაბეტიანი ბავშვები უკვე სრულად არიან უზრუნველყოფილნი 14 დასახელების საჭირო ფარმაცევტული საშუალებებით და პროგრამის ხელმისაწვდომობით..

დავაპრიორიტეტეთ და დღეს უკვე სრულად არის დაფარული დიალიზის სერვისის ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში სერიოზული პრობლემები იყო კლინიკებთან გარიგების კუთხით. მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფილია რეანიმობილის სერვისი, რომელიც, ხელმისაწვდომობის გარდა, ასევე უზრუნველყოფს ბიუჯეტიდან არასაჭირო თანხების არგადახდას კერძო კომპანიების ბრიგადებისთვის.

დაწყებულია ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი, ექიმების აკრედიტაციის, რესერტიფიცირების, წარმატებული სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნის პროექტი.

პრემიერის უშუალო ძალისხმევით დავიწყეთ დევნილების განსახლების უპრეცედენტო პროგრამა, 2025 წლისთვის 40000 დევნილს ექნება საცხოვრებელი.

**მე, ჩემს საამაყო გუნდთან ერთად შევძელი ისტორიის ერთი მოკრძალებული ფურცელი დამეწერა. მადლობა მათ მრავალსაათიან შრომაში გატარებული ყოველი დღისთვის. ბედნიერი ვარ, რომ არ დარჩა არცერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც არ გავატარეთ.**

რასაკვირველია, სახელმწიფო კლინიკების როლის გაძლიერება და, მათ შორის, თბილისის რესპუბლიკური კლინიკა ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი იყო. **ბოლო 20 წელია, შენობის უპერსპექტივობაზე არაერთი დასკვნა თუ შეფასება გაკეთდა, მაგრამ სისტემაში, როგორც სხვა მასშტაბური რეფორმები, ესეც არასდროს დაწყებულა. შესაბამისად, იმ ნიშნულამდე, წელს, თებერვალში, სადაც პროექტი მივიყვანეთ, არასდროს არავინ მისულა. მჯერა, რომ ის სამოქმედო გეგმა, რაც დაწყებული გვქონდა, სხვა განხილული ალტერნატივებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად ნაკლები დანახარჯით და ეკონომიკური ეფექტით რამდენიმე წელიწადში მიიყვანდა ქვეყანას უკონკურენტო, თანამედროვე, მრავალპროფილური სამკურნალო დაწესებულების შექმნამდე.**

ჩემს ორწლიან ძალისხმევაში შედეგებს 90% და პიარულ აქტივობებს 10% ეთმობოდა, რაც, დღევანდელი გადმოსახედიდან ვრწმუნდები, რომ ალბათ შესაცვლელი პროპორციაა. ჩვენი ყველა გადაწყვეტილება ხომ ქვეყნისთვის გრძელვადიანი შედეგის მისაღებად იყო გათვლილი და არა ერთდღიან პიარაქტივობაზე.

ყოველთვის ვფიქრობდი, რამდენი ძალა, რამდენი სიმართლე იყო ჩვენი გადაწყვეტილებების უკან, როცა მძლავრი დაჯგუფებების ბიზნესინტერესების მიუხედავად, ორი წლის მანძილზე ვინარჩუნებდი პოსტს, დღეს კი ღირსეულად, ამაყმა დავტოვე დროებითი თანამდებობა.

წარმატებას ვუსურვებ მომავალ მინისტრს, რომელიც დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო უკეთესი მენეჯერული უნარებით გულწრფელად გააგრძელებს ჩვენს მონაპოვარს, აღარასდროს დაბრუნდება ის დრო, რაც დამხვდა და, შესაბამისად, მოსახლეობა და ბიუჯეტი კიდევ უფრო დაცული იქნება, კეთილდღეობა კი ყველა მოქალაქეზე აისახება. მე კი ვრჩები ჩემი ქვეყნის რიგით ჯარისკაცად და სამინისტროს გულმხურვალე გულშემატკივრად.

**P.S. ბატონი ზურაბი თავის ვრცელ წერილში არაფერს ამბობს მშობლიური ქალაქისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და წარმატებული წინადადებების შესახებ. არადა, ვიცით, რომ მრავალი საინტერესო პროგრამის და პროექტის შესახებ ხშირად გაუჟღერებია საკუთარი აზრი პრივატულ შეხვედრებში თავისი ბორჯომელი მეგობრებისათვის. მარტო ის ფაქტი, რომ მისი აქტიური წინადადებით ახალ უბანში წარმატებით მიმდინარეობს დევნილთა მრავალსართულიანი და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ბევრის მთქმელია. ზრუნავდა ბორჯომელთა ჯანმრთელობისათვისაც...**

**ვინ იცის, კიდევ რამდენი სასიკეთო პროექტი ჰქონდა ჩაფიქრებული ბატონ ზურაბს ჯანდაცვის სისტემაში განსახორციელებლად, თუნდაც უსაშველოდ გაძვირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობისა და ფარმაკომაფიის დამარცხების თაობაზე.**

**გვწამს, ბატონი ზურაბ აზარაშვილი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს საქართველოსა და კერძოდ, მშობლიური ბორჯომის ისტორიაში. მშობლიური ქალაქის სიყვარულს მას ვერავინ აუკრძალავს.**

**ვალერიან ლომიძე.**

## ტურისტული სეზონი დაიწყო

# დამსვენებელი სურსათის ფასებით უკმაყოფილოა

**ბორჯომში ტურისტული სეზონი ოფიციალურად 1 ივნისიდან დაიწყო, თუმცა, როგორც დიდი სასტუმროების, ასევე საოჯახო სასტუმროების მფლობელებიც საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, რომ წელს დამსვენებლის რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დამსვენებელთა სიმცირეზე საუბრობენ როგორც ადგილობრივები, ასევე ჩამოსული სტუმრებიც. გაზეთმა ,,ბორჯომმა" ბორჯომის ქუჩებში გამოკითხვა ჩაატარა.**



**ლიდა ჭანკოტაძე:** - სამწუხაროდ, წელს ბორჯომში ტურისტი იმ რაოდენობით არ არის, რა რაოდენობითაც იყო გასულ წლებში. მე ვფიქრობ, რომ ცენტრალური ისტორიული პარკის რეაბილიტაციამაც შეუშალა ხელი ამ ყოველივეს.

**ომარ მთივლიშვილი:** - პირველ რიგში ვიტყოდი იმას, რომ წინა წლებშიც ვისვენებდი და ხალხის რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია, თუმცა, ძალიან დიდ ქაოსსა და ხმაურს სიმშვიდეში დასვენება მირჩევნია მეც და ჩემ ოჯახსაც. ტყის პირას მყუდრო საოჯახო სასტუმროში ვისვენებთ. სუფთა ჰაერი, მინერალური წყალი და ბუნება, რაც ბორჯომის ხეობის სავიზიტო ბარათია, ისევ აქ დაგვხვდა და მეტი არც არაფერი გვჭირდება. მომატებული ფასები მაფიქრებს პროდუქტებზე, სხვა დანარჩენი ყველაფერი მისაღებია.

**ნინა კონსტანტინოვი:** - მეორე წელია, რაც ბორჯომში ვისვენებ და გასულ წელს ბევრად მეტი დამსვენებელი იყო. ვიცოდი, რომ წელს პარკის რეაბილიტაცია იგეგმებოდა, თუმცა მაინც წამოვედი დასასვენებლად. რამდენიმე ლოკაცია დაკეტილი დაგვხვდა, თუმცა, ის, რაც ბორჯომს გააჩნია, ჰაერი და მინერალური წყალი, რის გამოც ადამიანმა ერთხელ მაინც უნდა ნახოს ბორჯომი, აქ უხვადაა და სიამოვნებით ვისვენებ. ცოტა დისკომფორტს ის მიქმნის, რომ პარკში გარკვეული ადგილები გადაკეტილია, მაგრამ ამის გამო, არ ჩამოხვიდე და არ დაისვენო, უბრალოდ ჩემთვის ასეთი მიდგომა მიუღებელია. პარკის გარდა არის სხვა ადგილებიც, სადაც შეგიძლია განიტვირთო და დრო გაატარო.

**მანუჩარ ჩაჩანიძე:** - სოციალურ ქსელში რამდენჯერმე შევხვდი ანტი რეკლამას, თითქოს პარკი ორი წლით მთლიანად დაიკეტა და ჩამოსვლა არ ღირს. პირველ რიგში, ამხელა ტერიტორიაზე არსებულ პარკს ორი წლით როგორ დახურავდნენ? ყალბი ინფორმაციის გავრცელება ყოვლად დაუშვებელია და პირადად ჩემთვის მიუღებელია. წელს მაგალითად, კოსტავას ბაღი მუშაობს მთელი დატვირთვით. სამწუხაროდ, საკმაოდ დიდი ფასებია ყველაფერზე, პროდუქტიდან დაწყებული, ატრაქციონებით დამთავრებული, რომელიც კოსტავას პარკშია დამონტაჟებული.

5-10 წუთიანი ხანგრძლივობის მქონე ატრაქციონი 5 და 10 ლარი არ უნდა ღირდეს. ადამიანების ფინანსების გათვალისწინება ყველანაირ შემთხვევაში გვმართებს. როდესაც ორი, სამი ან კიდევ მეტი ბავშვით ისვენებ, ხუთიდან ათ დღემდე დასვენებისთვის 2000 ლარამდე თანხა მაინც უნდა გაითვალისწინო, თუ მეტი არა.

მარია ტიმჩენკო: - ბათუმში ვისვენებდი და მხოლოდ რამდენიმე დღეა რაც ბორჯომში, საოჯახო სასტუმროში ვისვენებ. ყველა სუპერმარკეტში პროდუქტის ფასები საგრძნობლად მაღალია, პარკის რეაბილიტაციაც საკმაოდ დიდი დისკომფორტია. საოჯახო სასტუმროს მფლობელიც იძახის, რომ დამსვენებელი არ ყავს. ბორჯომს რაც შეეხება, მე პირადად ძალიან მომწონს.

გამოიკითხა **ნატო მელიქიძემ**

პოეზია უპირველეს ყოვლისა!

# ლიტერატურული გვერდი

რედაქციამ გადაწყვიტა, ყოველთვიურად გამოაქვეყნოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პოეზიის მოყვარულთა და სახალხო მთქმელთა შემოქმედება.ავტორებს ვთხოვთ მოგვაწოდონ თავიანთი ნაწარმოებები

## საავტორო წიგნების ყდას მისივე ნახატები ამშვენებს



ქალბატონი **ვარა ხუციშვილი** დვირის საჯარო სკოლაში ქართულ ენისა და ლიტერატურის პედაგოგია. 55 წლიანი პედაგოგიური გამოცდილების პარალელურად როგორც თვითონ ამბობს, საკმაოდ გვიან ასაკში აღმოაჩინა საკუთარ თავში ხატვის ნიჭი, თუმცა ლექსების წერა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, სკოლის მოსწავლე როცა იყო.

პირველი კრებულები 2022 წელს გამოსცა სახელწოდებით: ,,ლექსი ვარ ასი" და ,,საბავშვო ლექსები". სულ მალე მზის სინათლეს მისი ორი ახალი კრებული ,,დილის ნიავთან ნამღერი" და ,,იხარეთ იმრავლეთ" იხილავს. მისი კრებულების ყდის დიზაინი ქალბატონი ვარას მიერ შესრულებული ნახატებითაა დამშვენებული.

ქალბატონმა ვარამ საკუთარი სტრიქონები მიუძღვნა შოთა რუსთაველს და ასევე საპატიო ადგილს იკავებს მის მხატვრობაში შოთა რუსთაველის პორტრეტიც.

რუსთაველის გარდა საკუთარი შემოქმედება მიუძღვნა მან ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, ზვიად გამსახურდიას, გალაკტიონს, მურმან ლებანიძეს.

### რუსთველი გაიხარებდა



(რუსთველურად)
ღვთაებრივი ტკბილქართული,
მთა-ბარს ესმას სილაღითა,
მზის სხივებში ნავარდობდეს,
ირჩეოდეს სიტურფითა,
გულს სწვდებოდეს, კაცს ალხენდეს,
ყველას ესმას სინაზითა,
ბრძნული აზრი ჩაქსოვილი,
მოქარგული რითმებითა.
ლექსი ზეცას მიფრინავდეს,
უგალობდეს თვით უფალსა,
გულსა ცეცხლი შემოგვინთოს,
აღვივებდეს სიყვარულსა,
მტერსა მედგრად მახვილს სცემდეს,
უმღეროდეს თვის მამულსა,
ვაჟკაცს ჟინსა უმატებდეს
და წამლობდეს სულს სნეულსა.
დღეს ამ საქმეს შემდგარ პოეტთ
გზანი ხვდებათ გაკაფული,
პირველ რუსთველისგან თქმული,
შემდეგ წერეთლისეული,
ვაჟას მთიულური კილო,
ქართლულ კილოს შერეული,
უფლის მადლით შემკობილი,
ეს არს ლექსი ჩვენეული.
როს მესხეთის ძირძველ მიწას,
თვით მუზა დაივანებდა
ქართული ლექსის მოსმენას,
არც კაცი დაიზარებდა,
კარგთა მელექსეთ ნათქვამით
რუსთველი გაიხარებდა,
სიტყვის სალაროს გახსნიდა
და რჩეულს ჩაიბარებდა!

### რამდენი ღამე დაგთენებია

ეს თმები როგორ გაგთეთრებია,
ფიქრს დაუღარლავს შუბლი, ნათელი,
რამდენი ღამე დაგთენებია,
როგორ გიგრძვნია ლექსის სურნელი.
ღამეს აჰყვება ფიქრი ფარული,
რიჟრაჟს აფხიზლებს ლექსის შრიალი,
საუკუნეთა სიღრმიდან ისმის
ქართული გენის, სულის ღრიალი.
მარადიული ხნული გაავლე
ქართული ლექსის ყანაში,
და ეფერება მზის სხივი რითმებს,
ლექსი მიფრინავს, მაღლა ზენაში.

## ქართულ სიტყვას არ სჭირდება კაზმულჩუქურთმა



**ნათია ჯიქურაშვილი** 1984 წლის 7 აგვისტოს დაიბადა ბორჯომში. წარმატებით დაამთავრა №1 საშუალო სკოლა, 2002 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის მიმართულებით. გაზეთ ,,ბორჯომის" რედაქციაში ხელმძღვანელობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთ ,,ცისარტყელას". გახლავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. 2022 წლის 14 ნოემბერს ,,მწერალთა სახლში" გაიმართა მისი შემოქმედებითი საღამო და პირველი წიგნის ,,ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვი" პრეზენტაცია. 2023 წელს გამოსცა მეორე კრებული ,,გულმა თქვა". ის არაერთი წიგნის თანაავტორია. პოეტურ ჯგუფ ,,ჭეშმარიტ პოეზიაში" დასახელდა XXI საუკუნის 23 რჩეულთა შორის. ჰყავს მეუღლე დავით ტორაძე და სამი შვილი.

### ამომზევდება

ჩახრუხაული, ბალადა და რობაიები
მე გამოვრანდე, ამოვქარგე ლექსი ა, იმ მთის,
სად სალამურზე მწყემსიც, ალბათ, იშაირებდა
და ის კაფია წრფელი იყო, რარიგ ალალი!
ჰო, ქართულ სიტყვას არ სჭირდება კაზმულჩუქურთმა,
ის თავად არის ქვაში ლაღად გამოკვართული,
უნდა შეგიგრძნო, უნდა მწამდე როგორც თილისმა,
აპოკრიფებით, დოგმატიკით, ძველი ქართულით.
პირველსიტყვაა, შუშანიკმა წარმოსთქვა ღმერთი
და უერთგულა სიცოცხლითაც, თავი გადადო
შენ ლოცვის მადლო, სასწაულებს როს ახდენ ჩემში
მერე ლექსით რომ თვით უფალსაც ველაპარაკო.
მე გამოვრანდე, საუკუნეებს ავყარ აბჯარი,
მერე სისხლითაც დავითის და მეფე თამარის,
მინდა ამ სულში შეგინახო როგორც სამსჭვალი,
სხვა საქართველო ჩემი, შენი რადგან არც არის!
ჰიპოსტასივით, სამსახოვნად გულში ჩაგიკარ
ჩემი ხარ, ჩემი და მინდა რომ ყველას გავანდო
მეორმოსვლის ჟამს ჰო ქართული, მარხული სიტყვა
ამომზევდება, იმეტყველებს მთელი სამყარო!

## სიყვარულია თავად უფალი



**დალი ბანცაძის** პოეზიას გაზეთ ,,ბორჯომის" მკითხველები კარგად იცნობენ. დალიმ აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა 2020 წლიდან დაიწყო. დავით ახლოურის რედაქტორობით გამოიცა ,,ლიტერატურული სიახლეები", სადაც დალის 30-მდე ლექსი დაიბეჭდა. დალის ლექსებია შესული ,,ლექსის აკვანის" VI, IX, X, XI, XIII, XIV, XV ტომებში, რომლის რედაქტორიც გერმანე საზანოელი გახლავთ. ბანცაძის შემოქმედება დაიბეჭდა ჟურნალ ,,ათინათის" 2 ნომერში. მისი ლექსები ამშვენებს ,,ქართულ პოეზიას", სულ რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთი წიგნი გამოიცა სახელწოდებით ,,ლიტერატურული სიახლეები", რომლის თანაავტორიც დალი გახლავთ, კრებულში პოეტის 25 ლექსია შესული. სულ მალე მისი საავტორო ლექსების კრებული იხილავს მზის სინათლეს.

### უფლის ძალა

მე ყოველ დილით მადლობას ვწირავ
უფალს იმისთვის, რაც ვარ და ვინც ვარ,
საყვედურიც კი არ წამომცდება,
ღმერთო მაღალო, შენ სახელს ვფიცავ!

ამ პატარა გულს, იცით რამდენი
ტკბილ-მწარე წუთი გამოუვლია?
მაგრამ სიყვარულს ყველა ტკივილი,
დაუძლევია, არ დაუღლია.

ეს ის გრძნობაა, რაც რომ გზასავალს
გაგინათებს და წინ წაგიძღვება,
თითქოს მაღლდები მერე ზეცამდე
და სულსაც ამით ეძლევა შვება...

უფალს აქვს ყველა საქმეში წვლილი,
მის გარეშე ხომ თმაც არ ვარდება,
ყველა ,,პრობლემა" და დაბრკოლება
უფალო, ისევ შენით გვარდება!

სიყვარულია თავად უფალი,
სად სიმშვიდეა იქ დასახლდება,
აბრიალდება როგორც კოცონი,
აბიბინდება და აალდება...

მე, ყოველ დილით მადლობას ვწირავ
უფალს, იმისთვის რაც მაქვს და ვინც ვარ,
საყვედურიც კი არ წამომცდება.
ღმერთო მაღალო, შენ სახელს ვფიცავ!..

### * * *

ყველა რაღაცას ბოდავს,
ყველა რაღაცას ,,ჩმახავს",
მთელი სამყარო ბორგავს,
ღვთის შექმნილს აღარა ჰგავს!
ვიღაცა ფულებს ფლანგავს
სცენაზე დგომის ფასად--
და მერე თავი მოაქვს
ერთი-ორად და ასად...
უფლის შექმნილი ქალი,
კაცობას ისაკუთრებს...
და დაუკარგავს კვალი,
ოდითგან რაც აკურთხეს.
კაცს, ქალად ყოფნის ჟინი
მოძალებია, რაღაც -
მთლად არევია ტვინი
და დაჰკარგვია მადაც.
ჰო, ქაოსია მეთქი,
ვთქვი და ასეა მართლაც,
დაწერილ კანონს ღმერთის
ვიღაც სხვაგვარად მართავს!
ამპარტავნების ბუმი
იქ, ზენიტშია მაღლა -
მე ვდგავარ, როგორც ყუმი,
გულს დასტყობია დაღლა.
ვქადაგებთ სიყვარულს და
ბატონობს სიძულვილი,
ღმერთს დავემსგავსოთ უნდა,
მისგან შექმნილი შვილი...
ყველა რაღაცას ბოდავს,
ყველა რაღაცას ,,ჩმახავს"
მთელი სამყარო ბორგავს,
ღვთის შექმნილს აღარა ჰგავს!

## ჟანგი არ მოდებოდეს შენ კალამს

ბატონი **ჯემალ ბიბილური** ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი და მხარდამჭერია. განათლებული, კულტურული, თავაზიანი, შესანიშნავი მოლექსე და ენაწყლიანი თამადა, პოეზიის დიდი ტრფიალი, საკუთარი ლექსების წიგნები არ აქვს გამოცემული, მაგრამ მისი შემოქმედების საერთო რვეულები ბევრი ინახება რედაქციის არქივში. ჟანგი არ მოდებოდეს შენს კალამს. გვეამაყები და გვიყვარხარ, ჩვენო ჯემალ!

### ურჩი ,,გურჯები"



როგორ მინდა მოგიშუშო იარა,
როგორ მინდა, გულს მოგეცხო მალამოდ,
ამივსია ღვინით, თიხის ფიალა,
და შენ გლოცავ, ყოველ დილა-საღამოს.
შენთანა ვარ, მთელი ჩემი არსებით
და არასდროს მოგცილდები გვერდიდან,
ხატების წინ ანთებული სანთლებით
გლოცავ მიწა, ნაბოძებო ღმერთისაგან.
მე და შენ ხომ, ერთი გზებით გვივლია
მოფენილი ეკალით და ბარდებით,
დღეს თუ ცაზე ღრუბელი და ბინდია,
ხვალ გამოვა, კი მზიანი დარები.
ჩემი ფიქრის წყარო მხოლოდ შენა ხარ
სხვა რამ წმინდა, არცა რა გამაჩნია,
ჩემი გულის ფეთქვაცა ხარ,ძგერაც ხარ,
მჯერა ღმერთმა, მე შენთვის გამაჩინა.
სულ ვიბრძოდი, შენი სიძლიერისთვის,
ხან გუთანით და ხან კიდევ ხმალითა,
რისხვა ვიყავ, მუდამ შენი მტრებისთვის,
და წყვდიად-ბნელს, გინათებდი სანთლითა.
სულ გიზრდიდი, ტალი-ტალიკ ვაჟკაცებს,
თვალწარმტაცს და თვალჟუჟუნა გოგონებს,
ვინც იცავდა ციხეებს და გალავნებს,
და ვინც შენთვის არ ზოგავდა ძალ-ღონეს.
ბევრმაც სცადა, თუმცა ვერ წაგაქცია,
ბევრმაც სცადა, თუმც მონად ვერ გაქცია
და შეგარქვეს, მიტომ ,,ურჩი" გურჯები.

## არაერთგზის გამარჯვებული



**თამარ ლომიძე** - პოეტი, მხატვარი, ფილოლოგი დაიბადა 1969 წლის 27 ივნისს, ქალაქ თბილისში. წარმოშობით ბორჯომის რაიონის სოფელ ტბიდანაა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფაკულტეტი, ფერწერისა და ხელოვნების მიმართულებით. გამოქვეყნებული აქვს ოთხი პოეტური კრებული. არის მხატვართა კავშირის წევრი, გამოფენები ქონდა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა კულტურულ პროექტებზე. საქართველოსა და ნორვეგიაში არის ტურისტული კომპანიის და საგამოფენო გალერეის დამფუძნებელი. ასპინძასა და ვარძიაში რუსთაველის დღეებისადმი მიძღვნილი პოეზიის ზეიმის აქტიური მონაწილე და არაერთგზის გამარჯვებულია.

ქალბატონ თამარს 55 წელი შეუსრულდა, ვულოცავთ!

### დაიწყე თავიდან

შენს სიტყვებს ფერები გადაკრავს სიმწიფის,
შენს ფერებს უთქმელი სიტყვები ხედნიან...
შემორჩი სტრიქონებს თავნება მარტივით,
მთები კი შენს ნისლებს იოლად ხვდებიან...
არ გახსოვს რამდენჯერ მოხვედი ამქვეყნად
და სული სულიდან რამდენჯერ გავიდა...
ოცნებობ იოლად, მზეს გულებს აწვეთებ,
ცას ისევ მასპინძლობ გახსნილი სარკმლიდან -
ოღონდაც ზედმეტად იცოცხლო სიკვდილით,
ოღონდაც გჯეროდეს, რომ ძვლიან-მიწიანს
ტაძართან უჭკნება მარჯვენა მაცხოვარს,
-ადამის ცრემლები ჯერ კიდევ ცივია...
გაზაფხულს სურნელი ზეციდან ჩამოაქვს,
ჰაერის სიჩუმე შენს ქუჩას გასცდება,
შერჩები \სიყვარულს თავნება მარტივით,
ინათებს გული და... სისხლივით წაგცდება.
ცხოვრება, ფურცლებად დამარცვლავს მომავალს,
სოფელი წუთიდან მძიმედ რომ გავიდა...
ჩამოხსენ სარკმლიდან კლოუნის სხეული,
-ეგ როლი მოგიხდა, დაიწყე თავიდან!

### * * *

შენს სიტყვებს ფერები გადაკრავს სიმწიფის,
შენს ფერებს უთქმელი სიტყვები ხედნიან...
შემორჩი სტრიქონებს თავნება მარტივით,
მთები კი შენს ნისლებს იოლად ხვდებიან...
არ გახსოვს რამდენჯერ მოხვედი ამქვეყნად
და სული სულიდან რამდენჯერ გავიდა...
ოცნებობ იოლად, მზეს გულებს აწვეთებ,
ცას ისევ მასპინძლობ გახსნილი სარკმლიდან-
ოღონდაც ზედმეტად იცოცხლო სიკვდილით,
ოღონდაც გჯეროდეს, რომ ძვლიან-მიწიანს
ტაძართან უჭკნება მარჯვენა მაცხოვარს,
-ადამის ცრემლები ჯერ კიდევ ცივია...
გაზაფხულს სურნელი ზეციდან ჩამოაქვს,
ჰაერის სიჩუმე შენს ქუჩას გასცდება,
შერჩები სიყვარულს თავნება მარტივით,
ინათებს გული და... სისხლივით წაგცდება.
ცხოვრება, ფურცლებად დამარცვლავს მომავალს,
სოფელი წუთიდან მძიმედ რომ გავიდა...
ჩამოხსენ სარკმლიდან კლოუნის სხეული,
- ეგ როლი მოგიხდა, დაიწყე თავიდან!

## არ გათეთრდება ყორანი...

ჰეი, თქვენ ,,ნაცის" ლეკვებო,
გაუმაძღარნო სისხლითა,
დღეს თავებს ისევ გვახსენებთ,
პარლამენტის წინ მისვლითა.
ისევ წამოყეთ თავები
და ისევ ანთხევთ ბოღმასა,
შთამომავლობა დასწყევლის,
თქვენს გვარსა და თქვენს მოდგმასა.
სისხლი მოგწყურდათ მე მგონი,
მტრისა კი არა მოყვრისა
და მოსურნენი დღესაც ხართ,
ძმათა სისხლმღვრელი ომისა.
ფაშისტების გზა ირჩიეთ,
თუმც იგივე ხართ ნაცები,
მათსავით წინ აიფარეთ,
ფარებად სკოლის ბავშვები.
მოწამლეთ ახლაგაზრდობა,
ათასანირი შხამებით,
ნუთუ ამ ბავშვებს არა ყავთ,
დედბი ანდა მამები,
იმ ევროპელებს უჯერებთ,
ვისაც რომ არ სწამს უფალი,
ვერ ხვდებით, რომ ვერ იტანენ,
დღეს რომ ვართ თავისუფალი.
თანაც ჭკუას ვინც გვარიგებს,
მე მგონი ისიც ნაცია,
ვერ გამიგია ვინ არის,
ქალი არის თუ კაცია.
არც ღმერთი არ სწამს, არც ხატი,
არც და-ძმა და არც მშობელი,
კაცი-კაცთან რომ დაწვება,
იმისგან ან რას მოველით.
თუმცა ასეთნი აქაც გვყავს,
ღმერთისგან დაწყევლილები,
ლესბოსელ-ტრანსგენდერები,
სოდომ-გომორის შვილები.
ქრისტეს გზას გადაუხვიეთ,
როდის მისდევდით ანდაცა,
არ დაივიწყოთ არასდროს,
ბრძენის ნათქვამი ანდაზა.
არ გათეთრდება ყორანი,
რაც გინდა ხეხო გვიშითა,
კუზიანს - კი გაასწორებს
სამარე სავსე მიწითა.

გვერდი მოამზადა ნატო მელიქიძემ

## პრობლემები სადგურის გოგირდოვან აუზებზე

**ბორჯომს** არც ერთი დამსვენებელი არ დატოვებს ისე, რომ სადგურის გოგირდოვან აუზებს არ ესტუმროს. ჯერ კიდევ შემოდგომით დაიწყო სადგერის მხრიდან მისასვლელი გზის მოპირკეთების სამუშაოები, გაიწმინდა გზა და ადგილებში, სადაც შესაძლებელი იყო, დაიგო კიბეები, რომლის შესახებ აზრი, როგორც ყოველთვის, ორად გაიყო. მოქალაქეთა ნაწილი პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებს მიესალმებოდა და აღნიშნავდა, რომ ბორჯომს ეტყობოდა მზრუნველობა. იყვნენ ისეთი დამსვენებლები, რომლებმაც ვიდეო რგოლები გაავრცელეს და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ მიმდინარე სამუშაოებს იმ გზაზე, რადგან შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო კიბეების არსებობა ამ მთაგორიან ადგილზე.

კიბეებმა, შესასვენებლად მოწყობილმა მაგიდებმა და სკამებმა კიდევ უფრო გაამარტივეს გადაადგილება. ბევრად მიმზიდველი გახდა იმ გარემოში ყოფნა, სადაც იწყება აუზებამდე მისასვლელი ბილიკი, მაშინვე მკვეთრად გრძნობ ნაძვნარ-ფიჭვნარის მიერ გაფანტულ შეუდარებელ სურნელს ჰაერში.

ადგილზე მისულს უამრავი დამსვენებელი დაგხვდებათ სამივე აუზში, სადაც ბავშვების ჟრიამული მთელი დღის განმავლობაში არ წყდება. მთის ამწვანებულ ფერდობზე კი რუჯის მოყვარულნი მზის სხივების პირდაპირი მოქმედებით ბუნებრივად ირუჯებიან, ისვენებენ და გრილდებიან კიდეც.

აქვეა ტანსაცმელის გამოსაცვლელი ოთახები, სადაც რომ გგონია, მოწესრიგებული დაგხვდება გარემო, საშინელი სიტუაცია გხვდება, ისევ და ისევ დამსვენებლის უწესრიგოდ ქცევის გამო. საშინელი სიბინძურის სუნი



დგას, რომელიც უშუალოდ მიუთითებს მოქალაქის არასწორ, უკულტურო ქმედებაზე, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს შინაგან კულტურასა და მორალთან. იქ მყოფ კომპეტენტურ პირებს რომ მივუთითე აღნიშნულ ფაქტზე, ყოველ საღამოს, დღის განმავლობაში, საგულდაგულოდ იწმინდება ტერიტორიაო, ეტყობა ბავშვი ჰყავდათ შიგნით და ამის გამო დგას ასეთი სუნიო. კი მაგრამ იმ ბავშვის მშობელი რას ანახებს და ასწავლის შვილს? ეს ცალკე აღზრდა-გაზრდის თემაა. სამწუხაროა, რომ ისეთი დონის საკურორტო ქალაქში, როგორიც ბორჯომია, ასეთ ფაქტებზე გვიწევს წერა.

აქვე, თვალში მომხვდა დაკეტილი საპირფარეშო, რომლის მხოლოდ ერთი მხარე მუშაობდა და რომ ვიკითხე მიზეზი, მალე მოაწესრიგებენ - კანალიზაციას შეექმნა პრობლემა, უამრავი დამსვენებელია გოგირდოვან აუზებზეო. რამდენიმე დღე გავიდა და როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა დარღვევა, ვიმედოვნებ, ამ სეზონის განმავლობაში მოგვარდება პრობლემა და დამსვენებლებსა და ბორჯომელებს ისეთი დასასვენებელი პირობები შეექმნება გოგირდოვან აუზებზე, როგორსაც ჩვენი საკურორტო ქალაქი იმსახურებს.

**იზა იანვარაშვილი**

### გარდასულ დღეთა მოსაგონებლად

## რამდენ მოგონებას ინახავს სახლი?!



**ეს სახლი**, ახალ უბანში, ჩემი სახლის გვერდით მდგარი მეზობლის სახლია. მეზობლის, რომელიც დიდი ხანია გარდაიცვალა. ჩემ ბავშვობაში ამ სახლში, მოხუცი, ფუსფუსა ქალი, აიკანუშ ბებო ცხოვრობდა. მთელი ბავშვობა მახსოვს აიკანუშ ბებოს ყოველი დილა, როგორ ალაგებდა, აწკრიალებდა ეზო-კარს, მერე სუფთად ჩაცმული, პატარა ხელჩანთით ხელში სახლიდან ჭიშკრამდე გაკვალულ ბილიკს როგორ გაუყვებოდა და ქალაქისაკენ მიიჩქაროდა. მხოლოდ ზაფხულობით იყო მის სახლში ხალხმრავლობა და ჟრიამული. მაშინ, როდესაც შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ესტუმრებოდნენ ხოლმე. წელიწადის სხვა დროს კი სულ მარტო იყო, თავისთვის სახლში მარტო, თუმცა მარტოობას მეზობლები უმსუბუქებდნენ. მასზე ცოტა უმცროსი, ჩემთვისაც ძალიან ძვირფასი ბებოები - ცაცო და თამარი, რომლებიც თითქმის ყოველდღე სტუმრობდნენ. ეზოში, ჭანჭურის ხის ქვეშ მდგარ მოგრძო ხის სკამზე ჩამოსხდებოდნენ და ტკბილად საუბრობდნენ. ჩემ მეხსიერებაში ეს სურათი სამუდამოდ დარჩა, სამი ტკბილი ბებო, ეზოში, ხის ჩრდილქვეშ, ტკბილად მოუბარნი.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ერთ დღეს გავიგეთ, რომ წლებია შვილიშვილებმა აიკანუშ ბებოს სახლი გაყიდესო. სამწუხაროდ, მხოლოდ ზაფხულობით მოირბენს ის მეპატრონე, ეზოში ამოსულ მოზრდილ ბალახს გათიბავს და ისევ წავა. დღესაც იყვნენ, ისევ ბალახი გათიბეს და უკან დაბრუნდნენ. აიკანუშ ბებოს სახლი კი ისევ მარტო დატოვეს. ჰო, მარტო, სულ მარტო, თუმცა ვინ იცის, რამდენი მოგონებით სავსე.

ეჰ, რამდენ მოგონებას ინახავს სახლი და მით უმეტეს, თუ ის მარტოა. მართლაც რა არის წუთისოფელი, რანი ვართ ადამიანები და საით მივდივართ.

**ნატო მელიქიძე**

## ბიბლუსის ლიტერატურული ტურნე



**„ბიბლუსი“ საქართველოში უპრეცედენტო მასშტაბის ლიტერატურული ტურნე ჩაატარა. შეხვედრები პირველ ივლისს რუსთავში დაიწყო და 19 ივლისს ბათუმში დასრულდა. საერთო ჯამში თანამედროვე ქართველი მწერლები 9 ქალაქს ესტუმრენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. მწერლებმა შეხვედრაზე საკუთარი წიგნები განიხილეს, შემდეგ დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს უპასუხეს, შეხვედრის ბოლოს კი ავტოგრაფები დაარიგეს.**

მიმდინარე წლის ტურნე გამორჩეული იყო თავისი თემატიკითაც. ტურნე სახელწოდებით „ილიას ევროპა და საქართველო“ გაიმართა. ბაკურიანის „ბიბლუსის“ ფილიალს პოეტი **ტარიელ ხარხელაური** ესტუმრა, რომელიც სხვადასხვა თაობის ადგილობრივსა თუ ჩამოსულ სტუმარს ესაუბრა და ავტოგრაფებიც დაარიგა.

„ბიბლუსის“, როგორც საქართველოში წიგნის მაღაზიების ყველაზე დიდი ქსელის მიზანი წიგნზე ხელმისაწვდომობის ზრდაა. სწორედ ამ მიზნით რამდენიმე წლის წინ დიდი ლიტერატურული ტურნეს ჩატარება გადავწყვიტეთ. ტურნემ სისტემატური ხასიათი მიიღო. გამოხმაურების მასშტაბიდან გამომდინარე კი წელს უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბის ღონისძიება იგეგმება. ვეცადეთ, მაქსიმალურად ბევრი ქალაქი მოგვეცვა. ამით გვსურს ჩვენი მკითხველი გავახაროთ და ვასიამოვნოთ“, - განაცხადეს „ბიბლუსში“.

„ბიბლუსი“ ტრადიციულად სხვადასხვა ასაკისა და გემოვნების მქონე მკითხველზე ზრუნავს. სწორედ ამიტომ მიმდინარე წელს სპეციალურად პატარა ასაკის მკითხველისთვის „პეპელასთან“ თანამშრომლობით რამდენიმე ქალაქში განსაკუთრებული აქტივობებიც დაიგეგმა. „პეპელამ“ მონაწილეობა მიიღო ბაკურიანში დაგეგმილ შეხვედრაში. ბავშვები ანიმატორებმა და მულტფილმის გმირებმა გაართეს.

ავტორებთან შეხვედრების პარალელურად „ბიბლუსმა“ მკითხველს ადგილზე წარმოდგენილ პროდუქციაზე 30% ფასდაკლება შესთავაზა.

**რუსუდან სხირტლაძე**

## კიბერლიგის ტურნირი "ბორჯომის თასი -2024" დასრულდა



**კიბერლიგის ტურნირი „ბორჯომის თასი 2024” დასრულდა. პირველი ადგილი თორნიკე რეხვიაშვიოლმა დაიკავა.**

**ტურნირი ორ დღეს გაგრძლდა და მასში 32 ახალგაზრდა მონაწილეობდა. გამარჯვებულებს ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან ფულადი ჯილდო გადაეცათ:**

**I ადგილი - 900 ლარი;**
**II ადგილი - 600 ლარი;**
**III ადგილი - 300 ლარი.**

**საპრიზო ადგილების მფლობელები, ასევე, მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.**

## საინტერესო ფაქტები ფსიქოლოგიიდან



**ადამიანის ფსიქიკა ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიდუმლოდ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებმა მის შესახებ მრავალი საინტერესო ფაქტი იციან და ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველებაც კი შეუძლიათ, მრავალი ასპექტი მაინც შეუსწავლელი რჩება.**

**ჩვენ ხშირად გვიყვარდება ჩვენი მშობლების მსგავსი ადამიანები. ამის მიზეზი ბავშვობაში გადაუჭრელი პრობლემებია, რომელთა მოგვარებასაც არაცნობიერად, მოზრდილ ასაკში ვცდილობთ.**

**კემბრიჯის უნივერსიტეტის კვლევების თანახმად, არ აქვს მნიშვნელობა, რა რიგითობით არის ასოები განლაგებული, ჩვენ მაინც სწორად ვკითხულობთ ტექსტს, მნიშვნელოვანია, რომ პირველი და ბოლო ასო იყოს სწორი.**

**ისეთმა ბედნიერმა მოვლენებმა, როგორიცაა უნივერსიტეტის დამთავრება, ჩაბარება, ქორწინება ან ახალი სამსახური, შეიძლება დეპრესიამდე მიგვიყვანონ.**

**ფსიქოლოგიაში არსებობს ასეთი პრინციპი: რაც უფრო მაღალია მოლოდინები რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ იმედგაცრუებულები დარჩებით. მეტს ელი - ნაკლებს იღებ, ნაკლებს ელი - მეტს იღებ.**

**უცნობ ადგილზე აღმოჩენილი ადამიანების უმეტესობა მარჯვნივ ბრუნდება. ამ ფაქტის ცოდნა ძალიან გამოგადგებათ, თუკი არ გსურთ, საცობში დგომა, მაშინ დაიკავეთ ადგილი მარცხნივ.**

**იმ შემთხვევაში, თუ „კოშმარები“ გაწუხებთ, შესაძლოა, ძილის დროს გცივათ. მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია, რომ რაც უფრო ცივა ოთახში, მით მეტია ცუდი სიზმრის ნახვის ალბათობა.**



მეუღლე ლალი გელაძე, შვილები გივი, მანანა, ძმა ჯუმბერი, დები: ზინა, სონია ბეშკენაძეები, შვილიშვილები: გიორგი, ლუიზა, გიორგი, აჩიკო, ძმისშვილები, დისშვილები, შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გენადი ვლადიმერის ძე ბეშკენაძე**

დაიკრძალა 21 ივლისს, სოფელ საკირეში.



**მეგობრები ტარიელ კურტანიძე, შუქრი ხაჩიძე, ვახო ნოზაძე, ოთარ ხაჩიძე, ტელმან აივაზოვი, ალიკა ხუციშვილი, კაკო წერეთელი, ლევან ნოზაძე იუწყებიან, რომ 77 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი მეგობარი**

**ალექსანდრე ვეფხვიაშვილი**

**დაკრძალვა 25 ივლისს, ქ. ბორჯომში. ბესიკის ქ. №23.**

**მეუღლე ლალი კახურაშვილი, შვილები გიგა, თინათინი, რძალი, შვილიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**დემნა ბლიაძე**

**დაკრძალვა 25 ივლისს, 2 საათზე, გამოსვენება ახალდაბის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან.**

**ბაკურიანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები უსამძიმრებენ ქეთევან ჯეირანაშვილსა და თედიაშვილების ოჯახს**

**თენგიზ თედიაშვილის**

**გარდაცვალების გამო**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: ვალერიან ლომიძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი